

## ანთროპოგენური ნიადაგები - Anthropogene Böden

ანთროპოგენური ნიადაგები (81.1qkm, 0,1%) გავრცელებულია ქვეყნის ისეთ ადგილებში, რომლებიც განიცდიან მძლავრ სამრეწველო გავლენას. მათ დაკარგული აქვთ ბუნებრივი შენება და სულ ცოტა პროფილის ზედა ნაწილი განიცდის ანთროპოგენურ ზეგავლენას. ეს ნიადაგები ხასიათდება მუავე, ნეიტრალური ან ტუტე რეაქციით, ჰუმუსის მცირე ან საშუალო შემცველობით, შთანთქმის დაბალი ან საშუალო ტევადობით, სხვადასხვა მექანიკური შედგენილობით. ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია საერთო აზოტით, საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია მთლიანი და შესათვისებელი ფოსფორით, ღარიბია საერთო და გაცლითი კალიუმით. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით. არსებობს წყლისმიერი ან ქარისმიერი ეროზიის საშიშროება.

Anthropogene Böden (81.1qkm, 0,1%) sind dort verbreitet, wo es starke industrielle Einflüsse gibt. Sie haben ihre natürlichen Eigenschaften verloren und besonders in den Oberböden ist der anthropogene Einfluss vorhanden. Diese Böden sind charakterisiert durch eine saure, neutrale oder alkalische Reaktion, geringe oder mittlere Gehalte an Humus, geringe oder mittlere Absorptionskapazität und variierende Körnung. Die Böden sind wenig versorgt mit Gesamtstickstoff, sind reich oder mittel versorgt mit hydrolisierbarem N, sind arm oder mittel versorgt mit totalem und austauschbarem Kalium. Sie sind oft kontaminiert durch radioaktive Nukleide und andere Schadstoffe. Es existiert die Gefahr der Wasser und Winderosion.

